სიტყვა

ვაჟა-ფშაველას დასაფლავებაზე, წარმოთქმული ქვაშვეთის ეკლესიაში. დეკანოზის კორნელი კეკელიძის მიერ.

თანამედროვე უმაგალითო ომი ძალაუნებურად გვაგონებს ამ ძვირფას კუბოსთან „ბახტრიონში“ აღწერილ ხოროშეთს, რომელსაც „წარღვნა დაეცა წყეულ თათართა ჯარისა“ და სადაც ამის გამო ხსენება გაწყდა კაცისა“. სწორედ ხოროშეთს წარმოადგენს დღეს ჩვენი ბედკრული, დამშეული და წარღვნილი სამშობლო, სადაც დარჩენილან, როგორც ხოროშეთში, მხოლოდ „ბალღები“ და „დიაცნი“, რომელნიც უნუგეშოდ დასტირიან ომში დახოცილთ ძვირფას სახელებს. სავალალო ის არის, რომ ასეთ უბედურობის დროს ერთი-მეორეზე ხელიდან გვეცლებიან სულისა და გულის მესაიდუმლენი, რომელთაც, რეალური შველა თუ არა, პოეტური თანაგრძნობა და ზეაღმფრენი ნუგეშისცემა მაინც შეეძლოთ. ჯერ კიდევ არ გაცვეთულა დიდებულ აკაკის საფლავი, რომ ჩვენ პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი, ის ლამპარი, რომელიც ფშავ-ხევსურეთის მწვერვალოთაგან უხვ ნათელს ჰფენდა მთელ საქართველოს: გაფრინდა „მთის არწივი“ ვაჟა მოგვიკვდა ფშაველა! როდესაც ჩაუფიქრდები, უნებლიედ იმეორებ განსვენებულის მწარე სიტყვებს;

„სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენია?
როდემდის უნდა ვიტიროთ,
მიწას ვაფრქვიოთ ცრემლია?“

განსვენებულის სულის ტრაღედიას ის ჰქმნიდა და ამწვავებდა, რომ, ერთის მხრით, მას ელანდებოდა დიდებულ წინაპართა აჩრდილი, მათი გმირობა, პატიოსნება და მამულიშვილური გრძნობა; მეორე მხრით კი თვალწინ ედგა დღევანდელი ჩვენი დაკნინება და, როგორც ამბობდა, „ქარგისა შეცვლა აეზედა ამ მის სამშობლო მხარეში“. ამ „სამშობლო მხარის“ საშველად და სახსნელად ის აღიჭურვა, აღიჭურვა არა „ხმალ-შუბითა და ფარითა“, როგორც მთიული, არამედ კალმითა და მელნითა. თავის სიმბოლიურ პოეზიის უმთავრეს მიზნად მან დაისახა ლამაზად და კოხტად გამოექანდაკებია ძველი ქართველის სახე და ყველასათვის ეჩვენებია მისი სიდიადე და წარმტაცობა. „დღისა სიცხადით გულდაჩაგრული“,ის სიყვარულით იცქირებოდა წარსულისაკენ, თუმცა მისი ელეგიური, მელანქოლიით აღსავსე ქნარი სული უიმედოდ მომავალსაც არ უყურებდა. მართალია, ეს მომავალი მისთვის ბუნდოვანი და გამოურკვეველი იყო, მაგრამ მას სწამდა, რომ მართლაც რომ „გველის“ და არა სხვა რამე ქარგის „მჭამელი“ და მით „გამეცნიერებული“ და გათვითცნობიერებული ქართველი ერი, ადრე იქნება თუ გვიან, ძალა მოკრებილ მდინარესავით, უეჭველად გაარღვევს იმ სალ კლდეს, რომელიც, გზას არ აძლევდა ამ მდინარეს და არ უშვებდა ბარად.

განისვენე მგოსანო! შენი „სატრფო“, შენი სამშობლო, არ მომკვდარა, ის „ბებერ ლომივით“ მხოლოდ დარწმუნებულა, მაგრამ, გჯეროდეს, თანახმად შენი სურვილისა, მას მოევლინება „მათე მღვდელი“, „გულშემატკივარი მასწავლებელი“ და „შრომის მოყვარე ზურაბი“, რომელნიც მალამოს დასდებენ მის იარებს; მაშინ „დაჭრილ არწივს“ ფრთა გაუმთელდება და „ვაჟკაცს“, რომელმაც „ჟიდილში“ რქა დაკარგა, „რქა ამოუვა რქაზედა“. შენი უმანკო სული ნეტარებას განიცდის, როდესაც გაიგებს, რომ გაერთიანებული საქართველოს გამოეზდება არა ერთი და ორი „გოგოთური, ალუდა, ლუხუმა და ლელა“. ის გაბრწყინდ[illegible] როდესაც დაინახავს „სანათას“ შიერ „დინთებულ სანთელს შუქი გაჰფანტავს იმ წყვდიადს, რომელსაც მოუცავს დღეს შენგნით მიტოვებული, შენზე მტირალი ქართველი ერი. მშვიდობით, საუკუნო იყავნ, და იქნება კიდეც, ხსენება შენი!

დეკ. კორნ. კეკელიძე.